ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი შიხიაშვილს

ბატონო ირაკლი,

გიგზავნით ქ.თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში შემოსულ საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების შენიშვნებსა და წინადადებებს ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

დანართი: 12 ფურცელზე

პატივისცემით

ქ.თბილისის საკრებულოს

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ნინო თევდორაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი
საქმისწარმოების სამმართველო
ფურცლოვანი რაოდენობა 13 ფასი
№04/525 10.03.

10.02.2014

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს,
ქ-ნ ნინო თევდორაძეს

თბილისის საკრებულოს ფრაქცია "დედაქალაქი" მიმართავს თბილისის მერიას, რომ 2014 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ და ასახულ იქნას შემდეგი პრიორიტეტები და მიმართულებები

1 აეარიული სახლების გამაგრება.

ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია თანხები, მაგრამ პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე აუცილებლად მივიჩნევთ კიდევ უფრო მეტი თანხების მობილიზებას. ამ მიმართულებით ბიუჯეტიდან დამატებით დაიხარჯოს არანაკლებ 4 მილიონი ლარი.

2. ტრანსპორტის გადაადგილების გაუმჯობესება და ქალაქში ე.წ. "საცობების" შემზღუდველი ღონისძიებები

არსებული ღონისძიებები, მაგალითად შუქნიშნების ერთიან მართვის სისტემაზე გადასვლა ან სხვა, არასაკმარისია და დედაქალაქში სულ უფრო პრობლემური ხდება ტრანსპორტით გადაადგილება. აუცილებლად მივიჩნევთ მრავალსართულიანი, მრავალსადგომიანი ავტოსადგომების შექმნას და ასევე საგზაო ინსფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. პრიორიტეტულად მივიჩნევთ გმირთა მოედნიდან "ლაგუნა ვერეს" მონაკვეთზე და ვაშლიჯვრიდან დიღმის მიმართულებით ხიდის (გადასასვლელის) მშენებლობას. ამ მიმართულებით ბიუჯეტიდან დაიხარჯოს არანაკლებ 14 მილიონი ლარი.

ასევე მაქსიმალურად დეტალურად იქნას მოწოდებული ქუჩების დასახელება და სამუშაოების სახეობა (კაპიტალური, ფრაგმენტული) რომელიც მითითებულია საგზაო ინფრსასტრუქტურის მშენებლობის, აღდგენის და მოვლა-შეკეთების პუნქტში.

3. დასუფთავებისთვის სამსახურისთვის მოდერნიზაცია

უნდა განახლდეს დასუფთავების სამსახურის მანქანები და სანიაღვრე სამუშაოების მანქანები. ჯამურად ამ მიმართულებით ბიუჯეტიდან დაიხარჯოს 10 მილიონი ლარი.

4. დასრულდეს ლილოს ნარჩენების პოლიგონი.

პოლიგონი უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური, სამომავლოდ აუცილებლად უნდა გამოიმუშავებდეს ენერგიას და რაც განსაკუთრებით პრიორიტეტულია არ უნდა დააბინძუროს გარემო. ამ მიზნით საჭიროების შემთხვევაში გამოიყოს დამატებითი თანხები.

პატივისცემით,

ქ.თბილისის საკრებულოს
ფრაქცია „დედაქალაქის" თავმჯდომარე კონსტანტინე იონათამიშვილი

№ 041523 10.02.14

ქ.თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო თევდორაძეს

თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" წინადადებები ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით:

1) ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის იაშვილის სახელობის კლინიკის ონკო-ჰემატოლოგიურ დეპარტამენტს გამოეყოს 7 100 000 ლარი.
2) ჰემოფილიით დაავადებულთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროგრამის დაფინანსება. მომსახურება გაეწევა 35-დან 50-მდე ადამიანს. (71340ლ)
3) უსახლკაროთათვის სოციალური სახლების მშენებლობა (3 000 000 ლ.)
4) 100 ათასი ქართველი მოწამის სახელობის მეტეხის სიდისთვის გაფორმებითი სამუშაოების დაფინანსება. (500 000ლ)
5) ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი თანხის გაზრდა (20 000 000ლ)
6) 2012 წლის წყლადიდობის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საკომპენსაციო თანხის გამოყოფა.
7) ენერგოგამანაწილებელი კომპანიებისადმი დიდი ოდენობის დავალიანების მქონე მოქალაქეების ფინანსური მხარდაჭერა.

ქ.თბილისის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს"

თავმჯდომარე ზაზა გაბუნია

W04/525

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თევდორაძეს

ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ა/წლის 27 იანვარს გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. მთავარი საკითხი იყო „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის" პროექტის განხილვა. „ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №2-14 გადაწყვეტილების 23-ე მუხლის, I პუნქტის, „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი. კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სხვა სოციალური დახმარების პროგრამა 6.2.9 გაიზარდოს სამი მილიონი ლარით.

პატივისცემით,

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე *მაკა გვარამია*

ქალაქ თბილისის საკრებულოს
საქმისწარმოების
ადრესატი 1
ნ-04/525 07.02

ქონების მართვისა და საფინანსო–საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო თევდორაძეს

განათლებისა და კულტურის კომისიის

შენიშვნები და წინადადებები

ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ა/წლის 7 თებერვალს 13 სააოზე გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომა. "ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №2-14 გადაწყვეტილების 23–ე მუხლის, 1 პუნქტის, "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხილულ იქნა დამატებით "ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის" პროექტი. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტზე კომისიის მხრიდან არსებობს შემდეგი შენიშვნები და წინადადებები, კერძოდ:

1. 7.2.3 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა 1 300,0 ათასი ლარი მერიის ადმინისტრაციის განკარგულებაშია. გადაეცეს კულტურულ ღონისძიებათა ცენტრს;

2. 7.2.4 საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება 850,0 ათასი ლარი მერიის ადმინისტრაციის განკარგულებაშია. გადაეცეს კულტურულ ღონისძიებათა ცენტრს;

3. თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი. კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა 2014წ. თავისუფალი თეატრალური პროექტები 300,0 ათასი ლარი.
   თავისიფალი თეატრალური პროექტების დაფინანსება გაიზარდოს 100,0 ათასი ლარით;

4. თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი. კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა 2014 წ. ფესტივალები, კონკურსები და საიუბილეო ღონისძიებები 977,875 ათასი ლარი.
   საშემსრულებლო, ვიზუალური, თანამედროვე ხელოვნების, ქართული ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის ფესტივალების და კონკურსების დაფინანსება. გამოჩენილი ადამიანების და საზოგადო მოღვაწეების საიუბილეო ღონისძიებების და შემოქმედებითი საღამოების დაფინანსება გაიზარდოს 150,0 ათასი ლარით;

№ 04/525 10.02.14

5. 8.2 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა. სახელოვნებო სკოლებში ინკლუზიური ბავშვებისათვის (18 წლის ჩათვლით) განათლება იყოს უფასო.
სახელოვნებო სკოლებში დაემატოს დაწყებულ რემონტებს ინკლუზიური ბავშვებისათვის (18 წლის ჩათვლით) პარდუსების მოწყობა.

6. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ბიუჯეტი განისაზღვრება 215,0 ათასი ლარით.
თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ბიუჯეტი განისაზღვროს 325,0 ათასი ლარით.

პატივისცემით,

განათლებისა და კულტურის
კომისიის თავმჯდომარე *ხურაბ გაჩეჩილაძე*

ქ.თბილისი საკრებულოს ქონების მართვისა და
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თევდორაძეს
ქ.თბილისი საკრებულოს ეკონომიკური
განვითარებისა და საინვესტიციო
პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე
ზაზა დოლიძე

ქალბატონო ნინო,

2014 წლის ქ.თბილისის ბიუჯეტის პროექტის პრიორიტეტული საკითხების განხილვის მიზნით ქ.თბილისის საკრებულოში მ/წ 5 თებერვალს ქ.თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიაში მოწვეულ იქნა ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი ბ-ნი ზვიად არჩუაძე და მისი მოადგილე ბ-ნი იუზა წოწერია. საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე კომისიამ ყურადღება გამაახვილა ქ.თბილისის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტზე, რომლის ოდენობაც შეადგენს 3 600 000ლარს, რომელიც ქ.თბილისის ბიუჯეტის (785 000 000 ლარი) 0.45%-ია. დედაქალაქში, სადაც 1 300 000 მაცხოვრებელია, აღნიშნული საქალაქო სამსახურის (მუხლი 4.1.) „მეწარმეთა მხარდაჭერისათვის" გამოყოფილია მხოლოდ 1 000 000 ლარი, რაც ძალიან ცოტაა და ქ.თბილისში მცხოვრებ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 0.77 ლარს. აღნიშნული სამსახურის ყველა პროგრამა აქტუალურია თბილისელი მოსახლეობისათვის, მაგრამ 4.1. „მეწარმეობის მხარდამჭერი" პრიორიტეტული პროგრამის გათანაბრება 4.5. „უნარ –ჩვევების განვითარების" პროგრამასთან, რომელზეც გამოყოფილია 1 000 000 ლარი, საქმისადმი არაპროფესიონალურ მიდგომაზე მიგვანიშნებს. იგი არ ასახავს დედაქალაქში მეწარმეობის განვითარების რეალურ მდგომარეობას, რომელიც დგას მოსახლეობის წინაშე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქ.თბილისის მთავრობა დედაქალაქში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების „მეწარმეობის მხარდამჭერ"

№ 04/526 10.0

პროგრამას პრიორიტეტულ დარგად არ განიხილავს. მერიას არ გააჩნია მწყობრი, სწორად გათვლილი, მრავალწლიანი პროგრამა, რომელიც თბილისელ მოსახლეობაზე იქნება ორიენტირებული, რაც თავისი უარყოფითი მხარეებით კარგად ჩანს მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ბიუჯეტის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში.

საკითხის დეტალურად განხილვისას აღმოჩნდა, რომ გამოყოფილი თანხის რაოდენობა ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის მუშაობას არაეფექტურს ხდის და ხელს უშლის დედაქალაქში „მეწარმეობის მხარდამჭერი" პროგრამის განხორციელებას. მეწარმეების უდიდესი რაოდენობა კარგავს ნდობას პროექტის მიმართ. აღნიშნული დაფინანსების პირობებში შეუძლებლად მიგვაჩნია დედაქალაქის მოსახლეობისათვის საჭირო რაოდენობის საწარმოების ამუშავება, ადამიანების დასაქმება და სამუშაო ადგილების შექმნა, რომელიც პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს თბილისელებისათვის.

ქ.თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მერიის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის საქალაქო სამსახურს მუხლი 4.1. „მეწარმეობის მხარდაჭერისათვის" უხდა გამოეყოს 20 000 000 ლარი, რათა დედაქალაქში ხელი შეეწყოს და განვითარდეს „მეწარმეობის მხარდამჭერი" შემდეგი პროირიტეტული საკითხები:

1) ქ.თბილისში უსახსრობის გამო ადრე არსებული დახურული საწარმოების აღდგენა, მათი ფუნქციონირების განახლება, ნდობის გამოცხადება და ხელშეწყობა დაბალპროცენტიანი სესხის გაცემის გარანტიით.

2) დედაქალაქში მეწარმეობის სრული მხარდაჭერა. არსებული სამეწარმეო ბაზების გაფართოება, მოდერნიზაცია, გადაიარაღება და აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

3) ქ.თბილისის მერიამ კანონის შესაბამისად მხარდაჭერა და ნდობა უნდა გამოუცხადოს მცირე და საშუალო სამეწარმეო საქმიანობის ჩამოყალიბებას დედაქალაქში, რომელიც გათვლილი იქნება მრავალწლიან პროგრამაზე, რაზედაც დამოკიდებული იქნება თბილისში საშუალო ფენის ჩამოყალიბება, დემოკრატიული

საზოგადოების განვითარება, რომელიც რამოდენიმე წლის შემდეგ გამოიღებს სასურველ შედეგს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის 2014 წლის მუხლი 4.1. „მეწარმეობის მხარდაჭერისათვის" პროგრამის 20 000 000 ლარამდე დაფინანსების გაზრდის შემთხვევაში დედაქალაქში მივიღებთ:

1) 50-ჯერ მეტ ამუშავებულ საწარმოს.

2) 30-ჯერ მეტი ადრე, უსახსრობის გამო დახურული საწარმო მწყობრში ჩადგება, ამუშავდება და აღორძინდება.

3) 50-ჯერ გაიზრდება დასაქმებული თბილისელი ოჯახის რაოდენობა.

4) მივიღებთ საგრძნობლად გაზრდილ შემოსავლებს დედაქალაქის ბიუჯეტში.

5) ქ.თბილისში შემცირდება იმპორტირებული საქონლის შემოდინება და ადგილობრივ ბაზარზე გაიზრდება სამამულო, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის რაოდენობა, რომელიც ჯანსაღი, თანაბარი კონკურენციის პირობებში გამოიწვევს პროდუქტებზე ფასების კლებას.

პატივისცემით

ზ.დოლიძე

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა
და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თევდორაძეს

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ ა/წლის 31 იანვარს გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა, რომელსაც, გარდა კომისიის წევრებისა, ესწრებოდნენ ქ. თბილისის საკრებულოს წევრები და ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ქორქაშვილი.

სხდომაზე განხილულ იქნა „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი (წერილის №04/525).

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების და გაუმჯობესებისთვის მთლიანად გამოყოფილია 66 500,0 ათასი ლარი (მათ შორის გამწვანების ღონისძიებებისთვის – 15 000,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებებისთვის – 48 000,0 ლარი და თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობისთვის – 3 500,0 ათასი ლარი). აღნიშნული მაჩვენებლები ქ. თბილისის 2013 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის მაჩვენებლით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან შედარებით შემცირებულია, კერძოდ, ქ. თბილისის 2013 ბიუჯეტით (დეკემბრის თვის მაჩვენებელი) გამწვანების ღონისძიებებზე გამოყოფილი იყო 15 800,0 ათასი ლარი, რაც 2014 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან შედარებით 800 000 ათასი ლარით მეტია.

სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ გასულ წლებში შეინიშნებოდა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ბიუჯეტის ზრდის ტენდენცია, ხოლო 2014 წლის ბიუჯეტის პროექტით არა თუ დაფინანსების ზრდა, პირიქით, მისი შემცირება – სულ მცირე 800 ათასი ლარით ხდება.

გასული წლის 20 ნოემბერს, საკრებულოს კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე (გარემოს დაცვის კომისიის სხდომის ოქმი №11), როდესაც განიხილებოდა ქ. თბილისის მერის გ. უგულავას მიერ წარმოდგენილი "ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის თავდაპირველი ვარიანტი (აღნიშნული გადაწყვეტილების პროექტით ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის საპროექტო მონაცემების საერთო ოდენობა განსაზღვრული იყო 730 000,0 ათასი ლარით), ქ. თბილისის მერის მოადგილეს პაპუნა პეტრიაშვილს მივმართე შეკითხვით – იყო თუ არა შესაძლებელი, გარემოს დაცვის მიმართულებით, მომხდარიყო შემცირებული დაფინანსების თუნდაც 2013 წლის მაჩვენებლამდე გაზრდა, რაზეც პაპუნა პეტრიაშვილის მხრიდან უარყოფითი პასუხი მივიღე. ამის შემდგომ, ქ. თბილისის მთავრობამ წარმოადგინა "ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის გადაწყვეტილების პროექტის დაზუსტებული ვარიანტი, სადაც ბიუჯეტის საპროექტო მონაცემების საერთო ოდენობა განსაზღვრულია 785 000,0 ათასი ლარით, რაც

ქალაქ თბილისის საკრებულო
საკრებულოს აპარატი
№04/525 03.02.

55. მილიონი ლარით აღემატება გასული წლის ნოემბრის თვეში წარმოდგენილი 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის თავდაპირველ ვარიანტს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქის წინაშე საკმაოდ მწვავედ დგას თბილისის გამწვანების საკითხები, ხოლო 2014 წელს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ საკმაოდ მნიშვნელოვანი და ქალაქისთვის პრიორიტეტული პროგრამების პროექტები (მაგალითად, ქარსაცავი ზოლის აღდგენა-რეაბილიტაცია, მერქნიანი ხე-მცენარეებისა და ბუჩქების შესყიდვა და მაოი დარგვა, არსებული პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა) უნდა განხორციელდეს, კომისია ასკვნის, რომ გამწვანების ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭიროა "ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ" წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტით გათვალისწინებული დაფინანსება გაიზარდოს სულ მცირე 800 000 ლარით და მისი ოდენობა განისაზღვროს 15 800,0 ათასი ლარით.

დამატებით გაცნობებთ, ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ქორქაშვილმა სხდომაზე აღნიშნა, რომ "ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის დაუმტკიცებლობის გამო, მიმდინარე წლის იანვრის თვეში (1/12 სისტემით დაფინანსებით) საქალაქო სამსახურს პრობლემები არ შექმნია.

კომისიის სხდომაზე დამატებით განიხილებოდა ა/წლის იანვრის თვეში ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ აერო გადაღების თაობაზე გამოცხადებული ტენდერის საკითხი (ინფორმაციის სახით). საქალაქო სამსახურის უფროსის გიორგი ქორქაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული აერო გადაღება მიზნად ისახავს ქ. თბილისის მასშტაბით მწვანე ნარგავების აღრიცხვას, ასევე საზოგადოებრივი სივრცეების (სკვერები, პარკები, ბაღები და სხვა) წითელი ხაზების (მიჯნების) დადგენას და არსებულ მონაცემებთან შედარებას. სატენდერო დავალების მიხედვით შესრულებული სამუშაოების შედეგად მოხდება ერთიანი ელექტრონული რუკის (მასშტაბებით: 1:200; 1:500; 1:1000) 3d ფორმატში შედგენა და მისი ეპქსლუატაციაში გაშვება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის. გარდა ამისა, შემუშავებულ რუკაზე დატანებული მონაცემების გადამოწმება მოხდება ადგილებზე ჩატარებული პასპორტიზაციის მიხედვით, რაც მოიცავს თბილისის მასშტაბით ყველა ხე-მცენარის აღრიცხვას.

პატივისცემით,
ქ. თბილისის გარემოს დაცვის კომისიის
თავმჯდომარე

კ. ფირუაშვილი

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო თევდორაძეს

ურბანული დაგეგმარებისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის

შენიშვნა/წინადადებები

ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ა/წლის 6 თებერვალს 14 საათზე გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომა. „ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №2-14 გადაწყვეტილების 23-ე მუხლის, 1 პუნქტის, „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხილულ იქნა დამატებით „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის" პროექტი. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტზე კომისიის მხრიდან არსებობს შემდეგი შენიშვნა/წინადადებები, კერძოდ:

1. ტრანსპორტის განვითარებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებითი ღონისძიებებისთვის გამოყოფილი 67 800 000 ლარი შემცირდეს 20 მლნ ლარით. სატენდერო პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ 100 ავტობუსის შესასყიდად სრულიად საკმარისია 35 მლნ ლარი. დარჩენილი 20 მილიონი მოხმარდეს ქ. თბილისის გადაუდებელი და აუცილებელი სამუშაოების დაფინანსებას.

ასევე მნიშვნელოვანია მინიმუმამდე შემცირდეს თბილისის ცხელ კვანძებში წლების მანძილზე შექმნილი საცობები, რაც დედაქალაქისთვის ყოველ დღიურ პრობლემას ქმნის. კომისიას მიაჩნია, რომ [illegible] ორც საპილოტე პროგრამისთვის, თბილისის მერიამ გამონახოს ტერიტორიები (მაგ. ვაგზლის მოედანი, [illegible]ის მოედანი და ა.შ.) ევროპული ტიპის მრავალსართულიანი პარკინგების მოსაწყობად, რომელიც მნიშვნელოვნად განტვირთავს არსებულ ცხელ კვანძებში შექმნილ საცობებს. შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტის შესაბამის მუხლში აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად გათვალისწინებული იქნას მინიმუმ 10 მლნ ლარი, რითაც შესაძლებელი იქნება მინიმუმ 30 000 კვ.მ პარკინგის ფართის მოწყობა.

2. ავარიული შენობების გამაგრებისთვის გათვალისწინებული თანხა 30 მლნ ლარი გაიზარდოს 34. მლნ ლარამდე. მიმდინარე წელს დაგემგლია 130-მდე ავარიული საცხოვრებელი შენობების გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება.

3. მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი 1 მლნ ლარი გაიზარდოს 3 მლნ ლარამდე. თბილისში მოქმედი მიწისქვეშა გადასასვლელები [illegible]ჭიროებენ კაპიტალურ რეაბილიტირებას.

4. სანიაღვრე სამსახურისთვის უნდა მოხდეს ტექნიკური ბაზის გაძლიერება, რომ თავიდან იქნას [illegible]ცილებული წყალდიდობების და სტიქიის დროს შექმნილი პრობლემები. კერძოდ, „მძლავრი ლამასასრუტი [illegible]ორკაბინიანი ამოქაჩვისა" და „მცირე ზომის თვითმცლელი ორკაბინიანი" მანქანების და სხვა ტექნიკის [illegible]ესაძენად საჭიროა 3 მლნ ლარამდე თანხის გამოყოფა. დასუფთავების მუხლში უნდა აისახოს ეს თანხა.

[illegible] ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი
საქმისწარმოების [illegible]
№ 04/5245 10.02.14

5. დასუფთავების ღონისძიებების (ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ბოვლა-ცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; ხევების; ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელების დაგვა დასუფთავება; საბილინგო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; და ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში მონიტორინგი, და ნაგავსაყრელი პოლიგონების ბოვლა-პატრონობა, დაცვა; წარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ნაგავსაყრელ პოლიგონზე ახალი უჯრედის მოწყობა) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად საჭიროა 30 ერთეულამდე დასუფთავების სპეც/ტექნიკის შეძენა, რაც ულისხმობს ფიქსირებული თანხის 6 მლნ.ლარამდე გაზრდას.

6. დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებლთა კომპენსაციისთვის გამოყოფილი 2,500 მლნ ლარი უნდა გაიზარდოს 3 მლნ ლარამდე.

7. საპროექტო-სახაზო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, მონიტორინგი და სხვა ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული 3 მლნ ლარი გაიზარდოს 1 მილიონი ლარით. სულ 4 მილონი.

8. 2 მლნ ლარით განისაზღვროს მშენებლობა დაუმთავრებელი საცხოვრებლები სახლების საბოლოოდ დასრულება. (მარჯანიშვილის 5 და სხვა)

9. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პუნქტში დაზუსტდეს 650 უჩიდან რომელი საჭიროებს კაპიტალურ ან/და ფრაგმენტულ რეაბილიტირებას.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თვლის, რომ წარმოდგენილი „ქ. თბილისის 2014 ბიუჯეტის პროექტი" საჭიროებს კორექტირებას.

პატივისცემით,

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე *ნიკოლოზ ხაჩირამშვილი*